მუხლი 17. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (05 00)**სოციალური პროგრამები (05 01)**

აჭარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული, იძულებით გადაადგილებული ოჯახების და მოქალაქეების მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს დევნილი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით უზრუნველყოფას.

სოციალური დახმარების მიმღებ (ბენეფიციარი) პირს შეუძლია ერთჯერადად ისარგებლოს სოციალური დახმარების რამდენიმე მუხლით. რაც შეეხება სოციალურის წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-8



მუხლის პირველი პუნქტის ბ) ქვეპუნქტის და მე-9 მუხლებით გათვალისწინებული სოციალური დახმარების მიმღებ პირებს, მათ შეუძლიათ შეუძლიათ ისარგებლონ შესაბამისი მუხლით გათვალისწინებული დახმარებით, დახმარების განსაზღვრული ოდენობის თანხის ამოწურვამდე.

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენისათვის სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების დახმარებას, მარტოხელა პენსიონერების დახმარებას, მარჩენალდაკარგული პირების დახმარებას, სამხედრო დავალების შესრულების დროს დაღუპულ და უგზოუკვლოდ დაკარგულ პირთა დახმარებას, მრავალშვილიანი ოჯახების, მარტოხელა მშობლების, ახალშობილთა ბავშვების დაბადებისათვის ოჯახის დახმარებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ აჭარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული, მოსახლეობის სოციალური-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ა) ავადმყოფთა და შშმ პირთა სოციალური დახმარებები (კოდი 05 01 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში აჭარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ, იძულებით გადაადგილებული პირებისათვის დაფინანსდება:

პროგრამის დასახელება	კოდი	ავადმყოფთა და შშმ პირთა სოციალური დახმარებების პროგრამა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 01 01		108,5
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	აჭარის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, სპორტის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახური		
	ა) ზემო აფხაზეთიდან დევნილი, შეზღუდულ შესაძლებლობის მქონე პირებისათვის, რომლებიც დამოუკიდებლად ვერ გადაადგილდებიან, განხორციელდება სპეციალური სავარძლის შეძენა, რომლის ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 500 (ხუთასი) ლარს; ბ) ბიუჯეტიდან ანაზღაურდება იძულებით გადაადგილებული ონკოლოგიურად დაავადებული პირების ოპერაციის, მკურნალობის, დიაგნოსტიკისა და დაავადებასთან დაკავშირებული გამოკვლევებისა და მედიკამენტების ხარჯები. დახმარების ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 1000 (ათასი) ლარს. გ) ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია აჭარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული, მკვეთრად და მნიშვნელოვნად და ბავშვობიდან ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე იძულებით გადაადგილებული პირების დახმარება. (თითოეულ ბენეფიციარზე 200 (ორასი) ლარის ოდენობით). დ) ქვეპროგრამის ფარგლებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე იმ პირთათვის, რომლებსაც არ შეუძლიათ დამოუკიდებლად საწოლიდან ადგომა აჭარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან შეძენილი იქნება სპეციალური ნაწოლების საწინააღმდეგო ლეიბი., რომლის ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 250 (ორას ორმოცდაათი) ლარს. ე) აჭარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ერთჯერადად ანაზღაურდება ამავე მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული იძულებით გადაადგილებული პირების ოპერაციები (გარდა საკეისრო კვეთისა) და მასთან დაკავშირებული ხარჯები და ასევე ოპერაციასთან დაკავშირებული მედიკამენტოზური მკურნალობის ხარჯები, თუ ოპერაციული ჩარევიდან, მუნიციპალიტეტში მომართვის თარიღამდე გასული პერიოდი არ აღემატება ექვს თვეს.. დახმარების ოდენობა განისაზღვრება სოციალური დახმარების გაცემის სამუშაო ჯგუფის მიერ, რაც ჯამში არ უნდა აღემატებოდეს 500 ლარს, აღნიშნულ ზღვრულ თანხაში მოიაზრება ოპერაციის თანმდევი მედიკამენტოზური მკურნალობის ხარჯიც, ასეთის არსებობის შემთხვევაში, რომლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 250 (ორას ორმოცდაათი) ლარს. ვ) აჭარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ანაზღაურდება ამავე მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული იძულებით გადაადგილებული პირების მიერ წარმოდგენილი ფორმა №100-ის საფუძველზე, დიაგნოზის დაზუსტების მიზნით, სხეულის ერთი ან რამდენიმე ორგანოს მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიული გამოკვლევა. აღნიშნული მომსახურების		



ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ანაზღაურება მოხდება 2025 წლის განმავლობაში არაუმეტეს 500 (ხუთასი) ლარისა თითოეულ ბენეფიციარზე.
	ზ) აჭარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ანაზღაურდება ამავე მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული იძულებით გადაადგილებული პირების კორონაროგრაფიული კვლევის ხარჯები, მათ მიერ წარმოდგენილი ფორმა №100-ის საფუძველზე. აღნიშნული მომსახურების ანაზღაურება მოხდება 2025 წლის განმავლობაში და ჯამში არ უნდა აღემატებოდეს 900 ლარს.
	თ) აჭარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ერთჯერადად არაუმეტეს 1500 ლარის ოდენობით ანაზღაურდეს, იძულებით გადაადგილებული მცირეწლოვანი ბავშვების (0-18წლამდე), რომლებიც რეგისტრირებულნი არიან აჭარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტში, სამედიცინო მომსახურების (მათ შორის სარეაბილიტაციო პროცედურები, მედიკამენტების შეძენა, დაავადებათა შემდგომი პრევენცია) ხარჯები, მათთვის განსაკუთრებულ პირობებში და გადაუდებელ შემთხვევაში, ჯანმრთელობის მოშლის ისეთი ფორმის არსებობისას, როდესაც მათი სიცოცხლე საფრთხეშია და დაუყოვნებელი მკურნალობის გარეშე სიკვდილი გარდაუვალია, ან/და როდესაც სახეზეა დაინვალიდების ან ჯანმრთელობის მდგომარეობის სერიოზული გაუარესების აშკარა და გარდაუვალი საფრთხე და რასაც უპირობოდ უკავშირდება დაავადებების სამკურნალო და სარეაბილიტაციო ღონისძიებების აუცილებელი განხორციელება.
	ი) ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია აჭარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული, 1992 წლიდან-2004 წლამდე საომარი მოქმედებისა და სამხედრო დავალების შესრულების დროს მიღებული მძიმე ტრავმის (კიდურების: ხელის, ფეხის ამპუტაცია) დაინვალიდებულ პირთა ერთჯერადი ფულადი დახმარება (თითოეულს არაუმეტეს 500 ლარის ოდენობით).
	კ) აჭარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ერთჯერად ფულად დახმარება გაეწევათ ამავე მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 0-დან 18 წლამდე ასაკის იძულებით გადაადგილებული შემდეგი კატეგორიის ბავშვებს;

1. მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული მხედველობა დაქვეითებული, ცერებრალური დამბლით, აუტიზმით, იშვიათი დაავადებებით დაავადებულ და დაუნის სინდრომით დაავადებული ბავშვებს გაეწევათ სოციალური ფულადი დახმარება არაუმეტეს 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.
2. ცერებრალური დამბლით, აუტიზმით, იშვიათი დაავადებებით დაავადებულ და დაუნის სინდრომით დაავადებული ბავშვების სამედიცინო და სოციალური დახმარების ფარგლებში, მოხდება: ოპერაციული მკურნალობის, სტაციონარული, ამბულატორიული მომსახურების, მათ შორის, კვლევების, სამკურნალო-სარეაბილიტაციო ღონისძიებების დაფინანსება, მათ შორის სპეციალიზებულ დაწესებულებებში მომსახურების ანაზღაურება ერთჯერადად არაუმეტეს 1000 (ერთი ათასი) ლარის ოდენობით

მოსალოდნელი შედეგი	პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების ჯანმრთელობისა და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება
--------------------	--

ბ) ხანდაზმულთა სოციალური დაცვა (კოდი 05 01 02)

პროგრამის დასახელება	კოდი	ხანდაზმულ პირთა დახმარების პროგრამა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 01 02		34,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	აჭარის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, სპორტის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	აჭარის მუნიციპალიტეტში ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია აჭარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული: ა) ერთჯერად (200 ლარის ოდენობით) დაფინანსებას მიიღებენ იძულებით გადაადგილებული ხანდაზმული (80 და მეტი წლის) მოქალაქეები. ბ) ერთჯერად ფულად დახმარებას მიიღებენ მარტოხელა პენსიონერები (თითოეული 200 ლარის ოდენობით).		
მოსალოდნელი შედეგი	მარტოხელა პენსიონერების და ხანდაზმულთა სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება		



გ) ოჯახების და ბავშვების სოციალური დაცვა (კოდი 05 01 03)

პროგრამის დასახელება	კოდი	მრავალშვილიანი ოჯახების და ბავშვების დახმარების პროგრამა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 01 03		48,2
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	აჭარის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, სპორტის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ოჯახების და ბავშვების სოციალური დაცვის კუთხით ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის		
	ა) ქვეპროგრამის ფარგლებში აჭარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ, იძულებით გადაადგილებულ მართლმადიდებელ მშობელს (დედებს/მამებს) - გაეწევათ ერთჯერადი ფულადი დახმარება, თითოეულს 200 ლარის ოდენობით;		
	ბ) ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია იძულებით გადაადგილებული მრავალშვილიანი ოჯახების (3 და მეტი 0-დან 18 წლამდე), ერთჯერადი ფულადი დახმარება განისაზღვროს სამ შვილზე 200 ლარი და ყოველ მომდევნო შვილზე 50 ლარით მეტი;		
	გ) აჭარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ, იძულებით გადაადგილებულ ოჯახებს დახმარება - მე-3 და მეტი შვილის შემთხვევაში. (დახმარება განისაზღვრება მე-3 ბავშვის დაბადებისათვის 200 ლარის ოდენობით, მე-4 ბავშვის დაბადებისათვის 400 ლარის ოდენობით და ა.შ. ყოველ შემდგომ ბავშვზე 200 ლარით მეტი);		
	დ) პროგრამის ფარგლებში, აგრეთვე, ერთჯერად დახმარებას მიიღებენ, აჭარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული იძულებით გადაადგილებული ოჯახები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან სოციალურად დაუცველთა ბაზაში და მათი სარეიტინგო ქულა 57001-მდეა და ჰყავთ პირველკლასელი ბავშვები (დახმარება გაეწევათ თითოეულს არაუმეტეს 80 ლარის ღირებულების სასკოლო ჩანთით და პენალით);		
	ე) პროგრამის ფარგლებში ერთჯერადად, 200 ლარის ოდენობით, დახმარება გაეწევათ იძულებით გადაადგილებულ ბავშვებს 0-დან 18 წლამდე, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან აჭარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტში და არიან მარჩენალდაკარგული პირები.		
მოსალოდნელი შედეგი	ვ) ერთჯერად (1500 ლარის ოდენობით) დაფინანსებას მიიღებენ აჭარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული, დედ-მამით ობოლი (0-დან 18 წლამდე) იძულებით გადაადგილებული ბავშვები.		
	მრავალშვილიანი ოჯახების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება. კერძოდ, პროგრამით შესაძლებელი იქნება ყოველწლიურად 250 მდე მცირეწლოვან, ბავშვიან ოჯახზე გაწეულ იქნება სხვადასხვა სახის ფინანსური დახმარება		

დ) სამხედრო დავალების შესრულების დროს დაღუპულ და უგზოუკვლოდ დაკარგულ პირთა სოციალური დაცვა (კოდი 05 01 04)

პროგრამის დასახელება	კოდი	სამხედრო დავალების შესრულების დროს დაღუპულ და უგზოუკვლოდ დაკარგულ პირთა ოჯახების დახმარების პროგრამა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 01 04		2,0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	აჭარის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, სპორტის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ერთჯერადი (500 ლარის ოდენობით) ფინანსური დახმარება გაეწევათ სამხედრო დავალების შესრულების დროს დაღუპულ და უგზოუკვლოდ დაკარგულ პირთა ოჯახებს, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან აჭარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტში.		



მოსალოდნელი შედეგი	სამხედრო დავალების შესრულების დროს დაღუპულ და უზოუკვლოდ დაკარგულ პირთა ოჯახების თანადგომა. მათი საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება.
--------------------	--

ე) სოციალური დახმარებები (კოდი 05 01 05)

პროგრამის დასახელება	კოდი	სოციალური დახმარებები (სოციალური გაუმჯობესების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას (კოდი 05 01 05)	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 01 05		169,0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	აჭარის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, სპორტის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტიდან დახმარება გაეწევათ:		
	ა) ერთჯერად დაფინანსებას მიიღებენ კომპაქტურ დასახლებებში მცხოვრები, აჭარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული, იძულებით გადაადგილებული ოჯახები, რომელთაც აქვთ ბუნებრივი აირი. დახმარებას მიიღებენ გაზის გამათბობლის სახით (ოჯახზე ერთი), თითოეულის საცხოვრებელი ბინის ფართობის გათვალისწინებით. ბ) აჭარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ანაზღაურდება აჭარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული, იძულებით გადაადგილებული ოჯახების, ბუნებრივი აირით მომარაგების სისტემის სამონტაჟო სამუშაოების ღირებულება, ბუნებრივი აირით მომარაგების სისტემის სამონტაჟო სამუშაოების განმახორციელებელი ორგანიზაციის ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტის და ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს (ერთი ოჯახისათვის) 400 ლარს. გ) ავტორიზებული სასწავლებლებისა და აკრედიტებული დაწესებულებების მაგისტრატურის, რეზიდენტურის ან რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომის შემდგომი განათლების (პროფესიული მზადება) პროგრამაში რიცხულ პირებს, რომლებიც რეგისტრირებული არიან აჭარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტში, გაეწევათ დახმარება სწავლის საფასურის თანადაფინანსების სახით, წელიწადში არაუმეტეს 1125 ლარის ოდენობით. დ) ერთჯერადად 200 (ორასი) ლარის ოდენობით დახმარებას მიიღებენ აჭარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული იძულებით გადაადგილებული სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი დევნილი მოქალაქეები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში ოჯახის უფლებამოსილ წარმომადგენლებად და რომელთა სარეიტინგო ქულა 57001-ზე ნაკლებია. ე) ერთჯერად დახმარებას - სასაჩუქრე ბარათის სახით მიიღებენ აჭარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული შემდეგი კატეგორიის ბენეფიციარები: 2008-2025 წლებში დაბადებული დევნილი ბავშვები, ომში/საომარ მოქმედებებში, ან/და სამხედრო დავალების შესრულების დროს დაღუპულ და უგზოუკვლოდ დაკარგულ პირის ოჯახი , ხანდაზმული პირი (80 წლის და მეტის), შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი (შშმპ), მარტოხელა პენსიონერი. ამ მუხლით გათვალისწინებული დახმარება, შესაბამისი კატეგორიებით გათვალისწინებულ ოჯახებს/პირებს, გაეწევათ საახალწლოდ, სოციალური დახმარების გაცემის სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებული მონაცემების და საკრებულოს მიერ დამტკიცებული სოციალური დახმარების წესის შესაბამისად. თითოეული სასაჩუქრე ბარათის ღირებულება განისაზღვრება არაუმეტეს 100 ლარისა. ვ) აჭარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ერთჯერადი ფულადი დახმარება (500 ლარის ოდენობით) გაეწევათ აჭარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ სასულიერო პირებს, მათ რელიგიურ საქმიანობაში ხელშეწყობის მიზნით, საკრებულოს მიერ დამტკიცებული სოციალური დახმარების წესის შესაბამისად.		
მოსალოდნელი შედეგი	შემოსული განცხადებების საფუძველზე სამედიცინო და საყოფაცხოვრებო პრობლემების შესაძლებლობების ფარგლებში დაფინანსება. მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახების, დევნილი სტუდენტების და სხვა კატეგორიის დევნილთა სასიცოცხლოდ აუცილებელი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება; მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ მოქალაქეთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესება.		



ვ) დაკრძალვის მომსახურების ხარჯების ნაწილობრივი ანაზღაურება (კოდი 05 01 06)

პროგრამის დასახელება	კოდი	დევენილ ოჯახებისთვის სარიტუალო მომსახურების ნაწილობრივი დაფინანსების პროგრამა		2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 01 06			17,0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	აჭარის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, სპორტის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახური			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია აჭარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული, იძულებით გადაადგილებული გარდაცვლილი პირების, სარიტუალო მომსახურება (თითოეულ ბენეფიციარზე 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით).			
მოსალოდნელი შედეგი	დევენილ გარდაცვალებულთა სარიტუალო მომსახურებაში დახმარება			

მუხლი 18. მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები

მმართველობითი სფეროს გამართული ფუნქციონირება მუნიციპალიტეტის საქმიანობის ეფექტურად წარმართვის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია, სადაც მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მოსახლეობის ჩართულობის სისტემების შექმნას და უზრუნველყოფას, საბიუჯეტო პროცესის გაუმჯობესებას, მიმდინარე პროცესების მართვას და სხვა ფაქტორებს.

პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება მმართველობითი და საერთო დანიშნულების ხარჯების დაფინანსება.

ამავე პრიორიტეტიდან ფინანსდება ისეთი ხარჯები, როგორებიცაა სარეზერვო ფონდი, მუნიციპალიტეტის ვალდებულებების (სესხები, სასამართლო გადაწყვეტილებები) მომსახურება.

მუნიციპალიტეტის მმართველობითი ორგანოების დაფინანსება

კოდი	მმართველობითი ორგანოების დაფინანსება	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
01 00		1189,8
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	მუნიციპალიტეტის გამგეობა	
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამა უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის გამგეობის და საკრებულოს გამართულ ფუნქციონირებას, მუნიციპალიტეტის თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებას, მუნიციპალური ვალდებულებების მომსახურებას, საბიუჯეტო პროცესის განვითარებას.	
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	გამგეობის მიერ მოსახლეობისათვის გაწეული სერვისების გაუმჯობესება, მომსახურების მიღების გამარტივება. საბიუჯეტო პროცესის დახვეწა. ვალდებულებების მომსახურება.	

მუნიციპალიტეტის მმართველობითი ორგანოების დაფინანსება ხარჯების მიხედვით 2025 წელს

დასახელება	თანხა ათას ლარში
------------	------------------



ხელფასი	832,4
საქონელი და მომსახურება	287,4
სხვა ხარჯები	4,2

მუხლი 19. 2025 წლის ბიუჯეტის ასიგნებები

ათ.ლარი

ორგ. კოდი	დასახელება	2023 წლის ფაქტი			2024 წლის ფაქტი			2025 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან	საკუთარი შემოსავლები
	აჭარის მუნიციპალიტეტი	1366,50	40,00	1326,50	1439,70	0,00	1439,70	1745,00	15,00	1730,00
	მომუშავეთა რიცხოვნობა	33	0	33	31	0	31	31	0	31
	ხარჯები	1363,90	40,00	1323,90	1436,00	0,00	1436,00	1679,20	15,00	1664,20
	შრომის ანაზღაურება	721,30	38,50	682,80	758,50	0,00	758,50	832,40	0,00	832,40
	საქონელი და მომსახურება	140,50	0,00	140,50	166,70	0,00	166,70	291,40	0,00	291,40
	სუბსიდიები	119,70	0,00	119,70	132,60	0,00	132,60	151,90	0,00	151,90
	სოციალური უზრუნველყოფა	256,10	1,50	254,60	251,30	0,00	251,30	255,20	15,00	240,20
	სხვა ხარჯები	126,30	0,00	126,30	126,90	0,00	126,90	148,30	0,00	148,30
	არაფინანსური აქტივების ზრდა	2,60	0,00	2,60	3,70	0,00	3,70	65,80	0,00	65,80
	ძირითადი აქტივები	2,60	0,00	2,60	3,70	0,00	3,70	65,80	0,00	65,80
01 00	მმართველობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	852,00	38,50	813,50	925,10	0,00	925,10	1189,80	0,00	1189,80
	მომუშავეთა რიცხოვნობა	33	0	33	31	0	31	31	0	31
	ხარჯები	849,40	38,50	810,90	921,40	0,00	921,40	1120,80	0,00	1120,80
	შრომის ანაზღაურება	721,30	38,50	682,80	758,50	0,00	758,50	832,40	0,00	832,40
	საქონელი და მომსახურება	127,80	0,00	127,80	162,50	0,00	162,50	287,40	0,00	287,40
	სოციალური უზრუნველყოფა	0,20	0,00	0,20	0,40	0,00	0,40	0,00	0,00	0,00
	სხვა ხარჯები	0,10	0,00	0,10	0,00	0,00	0,00	4,20	0,00	4,20



	არაფინანსური აქტივების ზრდა	2,60	0,00	2,60	3,70	0,00	3,70	65,80	0,00	65,80
	ძირითადი აქტივები	2,60	0,00	2,60	3,70	0,00	3,70	65,80	0,00	65,80
01 01 01	აჭარის მუნიციპალიტეტის საკრებულო	320,70	0,00	320,70	369,50	0,00	369,50	423,00	0,00	423,00
	მომუშავეთა რიცხოვნობა	11		11	11	0	11	11	0	11
	ხარჯები	318,10	0,00	318,10	369,50	0,00	369,50	423,00	0,00	423,00
	შრომის ანაზღაურება	268,60	0,00	268,60	297,30	0,00	297,30	326,10	0,00	326,10
	საქონელი და მომსახურება	49,50	0,00	49,50	72,20	0,00	72,20	96,90	0,00	96,90
	არაფინანსური აქტივების ზრდა	2,60	0,00	2,60	0,00	0,00	0,00	0,00	0,00	0,00
	ძირითადი აქტივები	2,60	0,00	2,60	0,00	0,00	0,00	0,00	0,00	0,00
01 01 02	აჭარის მუნიციპალიტეტის გამგეობა	492,00	0,00	492,00	555,60	0,00	555,60	763,60	0,00	763,60
	მომუშავეთა რიცხოვნობა	20	0	20	20	0	20	20	0	20
	ხარჯები	492,00	0,00	492,00	551,90	0,00	551,90	697,80	0,00	697,80
	შრომის ანაზღაურება	413,40	0,00	413,40	461,20	0,00	461,20	506,30	0,00	506,30
	საქონელი და მომსახურება	78,30	0,00	78,30	90,30	0,00	90,30	190,50	0,00	190,50
	სოციალური უზრუნველყოფა	0,20	0,00	0,20	0,40	0,00	0,40	0,00	0,00	0,00
	სხვა ხარჯები	0,10	0,00	0,10	0,00	0,00	0,00	1,00	0,00	1,00
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0,00	0,00	0,00	3,70	0,00	3,70	65,80	0,00	65,80
	ძირითადი აქტივები	0,00	0,00	0,00	3,70	0,00	3,70	65,80	0,00	65,80
01 01 03	ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა	39,30	38,50	0,80	0,00	0,00	0,00	0,00	0,00	0,00
	მომუშავეთა რიცხოვნობა	2		2	0,00	0,00	0,00	0,00	0,00	0,00
	ხარჯები	39,30	38,50	0,80	0,00	0,00	0,00	0,00	0,00	0,00
	შრომის ანაზღაურება	39,30	38,50	0,80	0,00	0,00	0,00	0,00	0,00	0,00
01 02 01	სარეზერვო ფონდი	0,00	0,00	0,00	0,00	0,00	0,00	3,00	0,00	3,00
	ხარჯები	0,00	0,00	0,00	0,00	0,00	0,00	3,00	0,00	3,00
	სხვა ხარჯები	0,00	0,00	0,00	0,00	0,00	0,00	3,00	0,00	3,00
01 02 02	წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებებისა და სასამართლო აღსრულების	0,00	0,00	0,00	0,00	0,00	0,00	0,20	0,00	0,20



	ფონდი									
	ხარჯები	0,00	0,00	0,00	0,00	0,00	0,00	0,20	0,00	0,20
	სხვა ხარჯები	0,00	0,00	0,00	0,00	0,00	0,00	0,20	0,00	0,20
02 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	11,60	0,00	11,60	5,50	0,00	5,50	10,00	0,00	10,00
	ხარჯები	11,60	0,00	11,60	5,50	0,00	5,50	10,00	0,00	10,00
	საქონელი და მომსახურება	11,60	0,00	11,60	3,00	0,00	3,00	0,00	0,00	0,00
	სხვა ხარჯები	0,00	0,00	0,00	2,50	0,00	2,50	10,00	0,00	10,00
02 01	საბინაო-კომუნალური მეურნეობის თანადაფინანსება (კეთილმოწყობის ღონისძიებები დევნილთა ჩასახლებებში)	11,60	0,00	11,60	5,50	0,00	5,50	10,00	0,00	10,00
	ხარჯები	11,60	0,00	11,60	5,50	0,00	5,50	10,00	0,00	10,00
	საქონელი და მომსახურება	11,60	0,00	11,60	3,00	0,00	3,00	0,00	0,00	0,00
	სხვა ხარჯები	0,00	0,00	0,00	2,50	0,00	2,50	10,00	0,00	10,00
03 00	განათლება	63,50	0,00	63,50	70,90	0,00	70,90	83,40	0,00	83,40
	ხარჯები	63,50	0,00	63,50	70,90	0,00	70,90	83,40	0,00	83,40
	სუბსიდიები	63,50	0,00	63,50	70,90	0,00	70,90	83,40	0,00	83,40
03 01	სკოლამდელი განათლება	63,50	0,00	63,50	70,90	0,00	70,90	83,40	0,00	83,40
	ხარჯები	63,50	0,00	63,50	70,90	0,00	70,90	83,40	0,00	83,40
	სუბსიდიები	63,50	0,00	63,50	70,90	0,00	70,90	83,40	0,00	83,40
04 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	64,50	0,00	64,50	70,90	0,00	70,90	83,10	0,00	83,10
	ხარჯები	64,50	0,00	64,50	70,90	0,00	70,90	83,10	0,00	83,10
	საქონელი და მომსახურება	1,10	0,00	1,10	1,20	0,00	1,20	4,00	0,00	4,00
	სუბსიდიები	56,20	0,00	56,20	61,70	0,00	61,70	68,50	0,00	68,50
	სხვა ხარჯები	7,20	0,00	7,20	8,00	0,00	8,00	10,60	0,00	10,60
04 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	37,70	0,00	37,70	41,70	0,00	41,70	51,00	0,00	51,00
	ხარჯები	37,70	0,00	37,70	41,70	0,00	41,70	51,00	0,00	51,00
	საქონელი და მომსახურება	0,00	0,00	0,00	0,00	0,00	0,00	3,00	0,00	3,00
	სუბსიდიები	32,70	0,00	32,70	35,90	0,00	35,90	40,00	0,00	40,00



	სხვა ხარჯები	5,00	0,00	5,00	5,80	0,00	5,80	8,00	0,00	8,00
04 01 01	სპორტული ღონისძიებების დაფინანსება	5,00	0,00	5,00	5,80	0,00	5,80	11,00	0,00	11,00
	ხარჯები	5,00	0,00	5,00	5,80	0,00	5,80	11,00	0,00	11,00
	საქონელი და მომსახურება	0,00	0,00	0,00	0,00	0,00	0,00	3,00	0,00	3,00
	სხვა ხარჯები	5,00	0,00	5,00	5,80	0,00	5,80	8,00	0,00	8,00
04 01 02	სპორტული სკოლები	32,70	0,00	32,70	35,90	0,00	35,90	40,00	0,00	40,00
	ხარჯები	32,70	0,00	32,70	35,90	0,00	35,90	40,00	0,00	40,00
	სუბსიდიები	32,70	0,00	32,70	35,90	0,00	35,90	40,00	0,00	40,00
04 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	26,80	0,00	26,80	29,20	0,00	29,20	32,10	0,00	32,10
	ხარჯები	26,80	0,00	26,80	29,20	0,00	29,20	32,10	0,00	32,10
	საქონელი და მომსახურება	1,10	0,00	1,10	1,20	0,00	1,20	1,00	0,00	1,00
	სუბსიდიები	23,50	0,00	23,50	25,80	0,00	25,80	28,50	0,00	28,50
	სხვა ხარჯები	2,20	0,00	2,20	2,20	0,00	2,20	2,60	0,00	2,60
04 02 01	კულტურული ღონისძიებების დაფინანსება	3,30	0,00	3,30	3,40	0,00	3,40	3,60	0,00	3,60
	ხარჯები	3,30	0,00	3,30	3,40	0,00	3,40	3,60	0,00	3,60
	საქონელი და მომსახურება	1,10	0,00	1,10	1,20	0,00	1,20	1,00	0,00	1,00
	სხვა ხარჯები	2,20	0,00	2,20	2,20	0,00	2,20	2,60	0,00	2,60
04 02 02	კულტურის ცენტრი	23,50	0,00	23,50	25,80	0,00	25,80	28,50	0,00	28,50
	ხარჯები	23,50	0,00	23,50	25,80	0,00	25,80	28,50	0,00	28,50
	სუბსიდიები	23,50	0,00	23,50	25,80	0,00	25,80	28,50	0,00	28,50
05 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	374,90	1,50	373,40	367,30	0,00	367,30	378,70	15,00	363,70
	ხარჯები	374,90	1,50	373,40	367,30	0,00	367,30	378,70	15,00	363,70
	სოციალური უზრუნველყოფა	255,90	1,50	254,40	250,90	0,00	250,90	255,20	15,00	240,20
	სხვა ხარჯები	119,00	0,00	119,00	116,40	0,00	116,40	123,50	0,00	123,50
05 01	სოციალური პროგრამები	374,90	1,50	373,40	367,30	0,00	367,30	378,70	15,00	363,70
	ხარჯები	374,90	1,50	373,40	367,30	0,00	367,30	378,70	15,00	363,70



	სოციალური უზრუნველყოფა	255,90	1,50	254,40	250,90	0,00	250,90	255,20	15,00	240,20
	სხვა ხარჯები	119,00	0,00	119,00	116,40	0,00	116,40	123,50	0,00	123,50
05 01 01	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვა	97,20	0,00	97,20	106,60	0,00	106,60	108,50	0,00	108,50
	ხარჯები	97,20	0,00	97,20	106,60	0,00	106,60	108,50	0,00	108,50
	სოციალური უზრუნველყოფა	96,70	0,00	96,70	105,40	0,00	105,40	106,50	0,00	106,50
	სხვა ხარჯები	0,50	0,00	0,50	1,20	0,00	1,20	2,00	0,00	2,00
05 01 02	მარტოხელა პენსიონერების და ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	34,20	0,00	34,20	34,20	0,00	34,20	34,00	0,00	34,00
	ხარჯები	34,20	0,00	34,20	34,20	0,00	34,20	34,00	0,00	34,00
	სოციალური უზრუნველყოფა	34,20	0,00	34,20	34,20	0,00	34,20	34,00	0,00	34,00
05 01 03	ოჯახების და ბავშვების სოციალური დაცვა	43,80	0,00	43,80	49,30	0,00	49,30	48,20	0,00	48,20
	ხარჯები	43,80	0,00	43,80	49,30	0,00	49,30	48,20	0,00	48,20
	სოციალური უზრუნველყოფა	40,40	0,00	40,40	46,20	0,00	46,20	44,70	0,00	44,70
	სხვა ხარჯები	3,40	0,00	3,40	3,10	0,00	3,10	3,50	0,00	3,50
05 01 04	სამხედრო დავალების შესრულების დროს დაღუპულ და უგზოუკვლოდ დაკარგულ პირთა სოციალური დაცვა	12,50	0,00	12,50	2,00	0,00	2,00	2,00	0,00	2,00
	ხარჯები	12,50	0,00	12,50	2,00	0,00	2,00	2,00	0,00	2,00
	სოციალური უზრუნველყოფა	12,50	0,00	12,50	2,00	0,00	2,00	2,00	0,00	2,00
05 01 05	სოციალური დახმარებები	167,70	0,00	167,70	161,70	0,00	161,70	169,00	0,00	169,00
	ხარჯები	167,70	0,00	167,70	161,70	0,00	161,70	169,00	0,00	169,00
	სოციალური უზრუნველყოფა	52,60	0,00	52,60	49,60	0,00	49,60	51,00	0,00	51,00
	სხვა ხარჯები	115,10	0,00	115,10	112,10	0,00	112,10	118,00	0,00	118,00
05 01 06	დევენილი ოჯახებისთვის დაკრძალვის ხარჯების ნაწილობრივი ანაზღაურება	19,50	1,50	18,00	13,50	0,00	13,50	17,00	15,00	2,00
	ხარჯები	19,50	1,50	18,00	13,50	0,00	13,50	17,00	15,00	2,00
	სოციალური უზრუნველყოფა	19,50	1,50	18,00	13,50	0,00	13,50	17,00	15,00	2,00



მუხლი 20. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

2025 წელს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი -0,0 ლარის ტოლია.

მუხლი 21. ჯილდოები, დანამატები და დახმარებები

2025 წლის განმავლობაში აჭარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულებებისა და ორგანიზაციების დასაქმებულებზე ჯილდოს, დანამატების, დახმარების და სხვა ანაზღაურების გაცემა განხორციელდეს დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში.

მუხლი 22. ადგილობრივი შესყიდვები

თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხებით შესყიდვას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ახორციელებენ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით. აჭარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის პროგრამები და ღონისძიებები ხორციელდება გაფორმებული "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის ხელშეკრულების საფუძველზე, მათზე კონტროლი (ინსპექტირება) დაევალება მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამშრომელს ან თანამშრომელთა ჯგუფს გამგებლის ბრძანებით

მუხლი 23. ასიგნებების დაფინანსება

აჭარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის ასიგნებების დაფინანსება გაგრძელდეს სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიშიდან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ფინანსების მართვის საინფორმაციო (ელექტრონული) სისტემის მეშვეობით.

მუხლი 24. საბიუჯეტო ასიგნებათა ხარჯვა

1. დაუშვებელია ბიუჯეტიდან შრომის ანაზღაურების გაცემა შესაბამისი საშემოსავლო გადასახადის გადახდის გარეშე.
2. სახსრების ის ნაწილი, რომელიც ფისკალური წლის განმავლობაში არ იქნა ათვისებული, შეიძლება გამოიყენებულ იქნას მომდევნო წელს.
3. გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით, აჭარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული სარეზერვო ფონდიდან. თანხის გაცემა განხორციელდეს გამგებლის ბრძანების საფუძველზე, რომელიც უნდა მოიცავდეს ინფორმაციას თანხის ოდენობისა და მიზნობრიობის შესახებ, ხოლო თანხას გამოყოფს გამგეობის საფინანსო სამსახურის უფროსი.
4. წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებებისა და სასამართლო აღსრულების ფონდიდან თანხების გაცემა განხორციელდეს გამგებლის ბრძანების საფუძველზე, რომელიც უნდა მოიცავდეს ინფორმაციას თანხის ოდენობისა და მიზნობრიობის შესახებ, ხოლო თანხას გამოყოფს გამგეობის საფინანსო სამსახურის უფროსი.
5. აჭარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებების გადანაწილება და ცვლილებები პროგრამულ კლასიფიკაციაში განხორციელდეს დამტკიცებული წლიური ასიგნებების ფარგლებში საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის და აჭარის(ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის თანახმად.

მუხლი 25. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის (დახმარების) პროგრამებისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2025 წლისათვის



დადგენილი წესის, გამგეობის სამუშაო ჯგუფის მიერ მოპოვებული მონაცემების და ამ ბიუჯეტის შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობის გათვალისწინებით.

